საქმე N2/28296-17

11337576148895

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში ცვლილების შეტანის შესახებ

17 დეკემბერი 2025 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თინათინ ეცადაშვილი
სხდომის მდივანი - ნატო ხელაშვილი

განმცხადებელი - მოვალე - ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვა (საიდენტიფიკაციო ნომერი 28001030517)
წარმომადგენელი - ზვიად გადელია

გაკოტრების მმართველი - აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენლები - ლევანი პარუნაშვილი, სალომე ამნიაშვილი

სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია გადახდისუუნარობის საქმე მოვალე **ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვას** მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2025 წლის 11 დეკემბერს განცხადებით მომართა გაკოტრების მმართველის წარმომადგენელმა ლევან პარუნაშვილმა სადაც აღნიშნულია, რომ გაკოტრების მმართველმა კრედიტორული მოთხოვნის ოდენობის დაზუსტების მიზნით 2025 წლის 05 ნოემბერს წერილობით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს. შემოსავლების სამსახურის 2025 წლის 0 ნოემბრის N21-11/79378 წერილის თანახმად ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) პირადი აღრიცხვის ბარათზე დავალიანება ჩამოწერილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. შედეგად ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) საგადახდო დავალიანება არ ერიცხება.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებებს, საქმის მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში უნდა შევიდეს ცვლილება. სასამართლოს დასკვნა ემყარება შემდეგ

გარემოებებს:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმის განხილვისას გამოიყენება ამავე კანონით დადგენილი სპეციალური საპროცესო ნორმები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას. კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების საფუძველზე მოსამართლე შეადგენს კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრს და მას განათავსებს ელექტრონულ სისტემაში, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში უნდა აისახოს ვალის მოცულობისა და კრედიტორთა რიგითობის ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში უნდა განხორციელდეს ცვლილება. კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრიდან ამოღებული იქნას მეოთხე რიგის კრედიტორი სსიპ შემოსავლების სამსახური.

საქართველოს კანონის მე-3, მე-5, მე-7, მე-8, 29-ე, მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში განხორციელდეს ცვლილება და ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრიდან მეოთხე რიგის კრედიტორული მოთხოვნებიდან ამოღებულ იქნეს - სსიპ შემოსავლების სამსახური.

2. განჩინება გამოქვეყნდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (http://www.ecourt.ge/) ;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (ვებ-გვერდზე www.ecourt.ge) მისი გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, №64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე **თინათინ ეცადაშვილი**